ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 24 (1274) დეკემბერი 1967

# ნიანგი

გამოცემის 44-ე წელი ფასი 20 კაპ.




ნახ. ჯ. ლოლუასი

**ნიანგის საინფორმაციო ცნობა**

1967 წლის 31 დეკემბერს, ღამის 12 საათსა და 00 წუთზე 1968 წელი ნარნარად დაეშვა ჩვენს პლანეტაზე!



— მეფეო, დაგვილოცე ამ ახალ წელს თბილისი!
— არ ვსვამ, დედი, ცხენზე ვზივარ!

## საახალწლო ბარათი ნიანგს!

ბევრი ვირბინე ქალაქში
შენი ვიზით და საშვებით,
რომ საახალწლო ნობათი
მეძღვნა ხუმრობაგაშვებით.
სად არ ვიყავი ამ მიზნით,
ვინ აღარ გადავიკიდე,
ფეხსაცმელებიც გავცვითე,
შარშან რომ ხელზე ვიყიდე.
იქ „თერგს“ დავეცი, აქ—„არაგვს“,
საკბილო ვერსად ვერ ვნახე,
მიმტანს ხურდას არ ვართმევდი,
კინაღამ შემოველახე.
„შეურაცხყოფილ“ ტაქსის მძღოლს
ერთ ფეხზე გამოვასწარი,
ნიხრზე ცოტა მეტს ვაძლევდი,
სირცხვილით დადნა საწყალი.
ბაზრის წინ ძლივს ერთ ქორვაჭარს
წავაწყდი ამდენ ყიალში
და ისიც ბაზრის დირექტორს
მიჰყავდა მილიციაში.
იქედან, ხელმოცარული,
პოლიკლინიკას ვეწვიე,
აქაც წესრიგი დამიხვდა,
აქაც ვერაფერს ვეწიე.
საავადმყოფოს ვესტუმრე,
კარგად არ მახსოვს, რომელსა,
პალატებს ჩამოვურბინე,
რაკი შემთხვევა მომეცა.
კრიალ-კრიალი გაჰქონდა
ხალხს და საშტატო ერთეულს,
პალატის ყველა ავადმყოფს
ძალით უცვლიდნენ თეთრეულს.
ვერსად ვერ ვნახე მცირედი
ნაკლი და დანაშაული,
ისე შეველ და გამოველ,
არ დამიხარჯავს შაური.
„დამიწყევლიხარ“, ნიანგო,
გკადრებ სიცილის გენიოსს:
ღმერთმა ქნას, ყველა საკბილო
შენც ასე შემოგელიოს.
შენი ჩანგალი არ აჩნდეს
არც ერთ ნახელავ-ნაღვაწევს,
ყველაზე ღარიბი სუფრა
შენ გაგეშალოს ახალ წელს!.

**გრიგოლ ჩიქვილაძე**

## აქედან იქამდე

— უკაცრავად, ვერ მეტყვით, მეტეხთან როგორ გავიდე?
— ჩამოსული ხარ?
— დიახ, ბატონო!
— ჰოო! მაშ აი, ასე წადი, პუშკინის ქუჩას დაუყევი, ავტომატური სასაუზმე ხომ იცი? სახაშის გვერდით რომ არის, რესტორან „არაგვის“ ზემოთ?.. იქ არ გადაუხვიო, პირდაპირ იარე, სახინკლეს ჩაუვლი, მანდვე პივნოი და სამწვადეცაა, ეგრე მარჯვნივ მიჰყევი, ოციოდ ნაბიჯზე ერთ ლუდხანას თავისი პივითა და ხინკლით კიდევ ჩაუვლი, ახლა ლუდის დარბაზს ეძახიან ახალ მოდაზე... მიხვალ ახალ ხიდამდე, იქვე, დასაწყისში, ხიდის ქვეშ, ბუფეტს ჩაუვლი, გადახვალ ხიდზე, იქ კაფეა, აი, იმ კაფესთან გაუხვიე და სანაპიროთი წადი პირდაპირ, სანაპიროს ბოლოს, მოედანზე, სასადილოს მიადგები, პირდაპირ მეტეხს უყურებს... აღმართს აუყევი და მიხვალ კიდეც. აი, იქაც რამე სასაუზმე რომ აეშენებინათ, მაშინ უფრო ადვილად მიაგნებინებდი, აფსუს!..

**ზურაბ ყორღანაშვილი**



— ალბათ მეკვლეა, კოსტუმები, უცხოური ფეხსაცმელები, წინდები, ჯემპრები მომაქვსო...
— ახლავე გაუღე კარი, მეკვლე კი არა, ჩემი სპეკულანტი ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თბილისის „დინამოს“

ოქროს ხანიდან რომ ბრინჯაოს ხანას დაუბრუნდით, არ დაგავიწყდეთ, რომ ტრიბუნები ქვის ხანისკენ იქაჩებიან!

### ასტრონომებს

გისურვებთ თქვენი მტრის მზის დაბნელებას. დე, სულ მარსით მოგეგოთ ვენერას გული!

### ქართველ მოჭადრაკე ვაჟებს

ლეკვი ლომისა სწორია, მუ იყოს, თუნდა ხვადია!..

### ქართული ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს

ემიგრანტებად ჩაგვთვალეთ, ოღონდ გვაღირსეთ კონცერტი!..

### თეატრის რეჟისორებს

თქვენ წარმოიდგინეთ, წარმოუდგენლად უკეთესი იქნებოდა, თქვენს წარმოდგენებზე თქვენზე დიდი წარმოდგენა მაყურებელს ჰქონოდეს!

### გამოუცდელ პაციენტებს

ექიმთან სახსრებზე ლაპარაკი არ დაგავიწყდეთ!..

### ზოოპარკის ხელმძღვანელობას

მნახველებს ახალი წლიდან მაინც შეხვედროდეთ გაცხოველებით!..

### რუსთავის თეატრს

პიესებიდან რაც შეიძლება მეტი გამოგედნოთ, მაყურებელი გაგეგლინოთ და ყველა დიამეტრის ავტორები სულ მაღალხარისხოვან „ტრუბებში“ გაგემვრინოთ!

### სახანძრო რაზმის მუშაკებს

სხვის ცეცხლზე ხელი არასოდეს მოგეთბოთ!

### ქართველ მეაბრეშუმეებს

თქვენი ჭია გეხარებინოთ!

### ამინდის ბიუროს

გისურვებთ ხანგამოშვებით წარმატებებს, ალაგ-ალაგ ბედნიერებას და ზომიერად მლიერამდე ჯანმრთელობას!

### ქართველ მშენებლებს

გაცილოთ ავარიული, გიმრავლოთ „ივერიული“!

### მეტროს მშენებლებს

თქვენი მიწაში ყოფნა გვირჩევნია ზოგ-ზოგის ზევით-ზევით სიარულს!

### სამედიცინო ინსტიტუტს

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს კედლებს მიმაბარეო!

### 09-ს

ხანდახან ყურმილიც აიღეთ, სულ ნუ გაგვა-ტუ-ტუ-ტუ-ტუ-ცებთ!



— მეუღლეს რატომ არ სვამ სუფრასთან?
— მაგისთვის ჯერ არ დამდგარა ახალი წელი, გასული წლის გეგმა აქვს შესასრულებელი!



— გაგიჟდი? როგორ მილოცავ ახალ წელს?!
— მერე რომ არა თქვა, ცუდ ფეხზე მოვიდაო.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ამ დათვის ქურქში წვიმა ხომ არ ატანს?
— ვინახავს როდესმე კლაშრიანი დათვი?



უტექსტოდ



უტექსტოდ

# მორჩი ბაზარს!..

ალბათ. ყველაზე ბარაქიანი, გემრიელი და მხიარული სუფრა საახალწლოა. გაშლილ მაგიდაზე ლამაზად აწყვია, სულო და გულო, რაც გინდა. გადახედავ და ქეიფის სურვილი გებადება. ასე გგონია, ნატვრის სუფრააო, მაგრამ გადავახვიოთ უკან კინოფირი და მაგიდაზე შებრაწული გოჭი თვალებს გაახელს, კუდს ბურღივით დაატრიალებს, აჭყვიტინდება და ტომარაში შერგავს თავს. შემდეგ კი რომელიმე სოფლის ეზოში დაიწყებს დინგით მიწის თხრას. მამალი შეიბუმბლება, ღობეზე შეხტება და იყივლებს, ღვინო მაღაზიის საწყობის ტომარაში შაქრად ჩაიყრება და წყლის ონკანში აჩხრიალდება. შამაიას შპრიცით თევზის ქონი გამოეცლება და მდინარეში ადგაფუნდება... მერე კი ყველაფერი ეს ბაზარში მოვა. ახალი წლის მოახლოება კი სწორედ რომ ყველაზე მეტად ბაზარს ეტყობა, ერთნაირად მატულობს მყიდველიცა და გამყიდველიც. ვაჭრობა ბაზრის ფარგლებს სცილდება და ქუჩაში ეწყობა ხონჩები. აი, ის გოჭი, ის შამაია, ის ყველი და ის კვერცხი, მაგიდაზე რომ ასე გულუხვადაა დაწყობილი, აი ყიდვა-გაყიდვის ორომტრიალიც...

— ასე პატარა გოჭი ასე ძვირი?

— ვა! გოჭი რაც უფრო პატარაა, უფრო ძვირია! — ერევა საუბარში ვითომდა სრულიად უცნობი.

— შენ ვისი მეცამეტე გოჭი ხარ, ვინ გკითხავს შენ?!

— ტარანი არ გინდა? — უჩურჩულებს უჩუმრად ვიღაცა ვიღაცას.

— ფასი?

— წყალში თევზი ვის დაუფასებია, ჯერ საქონელი ნახე!

საიდუმლოდ შედიან სადარბაზოში. იწყება საქონლის „გასინჯვა“.

— ფასი თქვი!

— ტარანნახევარი — მანეთნახევარი!

— შეგარცხვინა ღმერთმა!

— სახაჭაპურე ყველი გაქვს?

— კი, ბატონო! ინებეთ!

— მარილიანია?

— წყალი დაასხი! — იცინის ყველის გამყიდველი.

— რას იკრიჭები ყველის ვაჭარივით?!

— ვა, რას დუღდები, თუ ყველი არ გეპიტნავება, ნადუღი იყიდე! (ნადუღს მართლა ყიდულობს და ახლა პიტნას ეძებს).

— პიტნა გაქვს?

— მაქვს, მხოლოდ ოხრახუშთან ერთად წაიღე!

— ოხრახუში არ მინდა, მარტო პიტნა მინდა!

— არ იქნება, ოხრახუშთან ერთად წაიღე!

— გაგონილა, კაცო? ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ცხვირში ჩრიდნენო.

— მაშინ ბოლოკთან ერთად წაიღე!

— არ გამომიყვანო მოთმინებიდან, ბოლოსა და ბოლოს, ნიახური ხომ არა ხარ, მეორედ ამოხვიდე?!

— მაშინ ხახვთან ერთად წაიღე და მოვამთავროთ!

— აბა, მყავე კიტრი, შუშა კიტრზე უკეთესი!

— რას აფასებ?

— ჯერ კიტრი ნახე, მერე გამყიდველი და ფასი შენ თვითონ თქვი!

— თავის ქება კიტრადაო, კიტრი ორ შაურადაო.

— არ გამოვა!

— შენ იცი!

ბაზარი ზუზუნებს, დუღს და გადმოდუღს, სიალერსო სიტყვებისთვის არავის სცალია, ფასის ასაწევ-დასაწევად ხანდახან მაინც ესიყვარულებიან კიდეც ერთმანეთს.

— ჯიგარო, ჯიგარი გაქვს?

— მაქვს რომელიც! თვითონ ჯიგარო და პირის ზიარებავ! ჯიგარი კი არა, ნუგბარია!

ერთ მხარეს ქარვის ლოდებივით აწყვია მსუქანი ქათმები.

— მამალში დედლის ფასსა მთხოვ?!

— მე არაფერს არა გთხოვ, გინდა იყიდე, გინდა არა!

— მაგ ფასად ვერ გაყიდი!

— მამალმა თქვა: მე კი მიყივლია და გინდა გათენდეს, გინდა არაო, ხომ გაგიგია?!

— ეგ თუ გაგიგია, ის აღარ გაგიგია, ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო?

— მორჩი ბაზარს!

...ალბათ, ყველაზე ბარაქიანი, გემრიელი და მხიარული სუფრა საახალწლოა. გაშლილ მაგიდაზე კი ლამაზად აწყვია, სულო და გულო, რაც გინდა. გადახედავ და ქეიფის სურვილი გებადება!..

**გარი მეტრეველი**

# პირში მთქმელი კაცი

შარვლის გაუთოვებისას ცოლმა ჯიბეები ამოაბრუნა. ცალაც ხურდა და გაზის გადაუხდელი ქვითარი მაგიდაზე დაყარა.

— გავხარ შენც შენს ამხანაგებს! შალიკო სამინისტროში გადაუყვანიათ, აბიკოც დაუწინაურებიათ. ჯერ აქამდე როგორ ცხოვრობდნენ და ახლა წარმოიდგინე!..

ცოლის საყვედურმა, თქვენ წარმოიდგინეთ, გამახარა. იქნებ მომხედონ და მეც რაიმე მეშველოს-მეთქი. ჯერ სამინისტროსკენ გავქანდი. შავი დერმანტინით გადაკრული კარები რიხიანად შევაღე. შალვა საწერ მაგიდას უჯდა და მოხსენებას წერდა.

— გახსოვს, ბიჭო სკოლაში რა დოვლათი იყავი? ისტორიის მასწავლებელმა რომ გითხრა, შენგან კაცი არ გამოვაო, რა დიაგნოზის დასმა სცოდნია. ექიმი რომ ყოფილიყო, არ მოკლავდა ავადმყოფს? წიგნის კითხვა შენ არ გიყვარდა და საკონტროლო სამუშაოებს ჩემგან იწერდი, ბოლოს სკოლიდანაც გაგაპანჩურეს. ვინ იფიქრებდა, რომ მისაღებ ოთახში მოგიცდიდა ხალხი! — შალვა თანდათან ილუშებოდა. მივხვდი, რომ გადავამლაშე და თვალწინ დედაჩემი წარმომიდგა, პირში მთქმელი კაცი ხარ და იმიტომ არ გაწინაურებენო, რომ მითხრა. ბოლოს, სკოლის ამხანაგს გავუღიმე და სამსახური ვთხოვე. ჩემს ბედზე კადრების განყოფილების გამგეც შემოვიდა.

— გვაქვს რაიმე ადგილი, რომ ეს ამხანაგი სადმე მოვაწყოთ? — შეეკითხა შალვა.

— რას ბრძანებ, პორფირიჩ! 30 განცხადება გვაქვს და სპეციალისტები სამსახურში ვერ მიგვილია.

კუდამოძუებულმა დავტოვე შალვა პორფირიჩი და მეორე ძმაკაცთან გავქანდი.

— აბესალომ ბათლომიჩს ვახლავარ! — გადავეხვიე, დავსხედით, იქაც მოვიგონე სკოლის ამბები.

არც ეს იყო დიდი ხვითო სწავლაში, მაგრამ...

— გახსოვს, ბიჭო, სულ ხუთიანებს რომ იღებდი? მთელი კლასი შენგან იწერდა საკონტროლო სამუშაოებს — პაველ ბურეს საათივით ავაწყე საუბარი... — ჰო, რა ძლიერი იყავი ალგებრა-გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში. გუშინდელ დღესავით მახსოვს, მაგ ცოდნით დიდი მომავალი გელისო, კლასის დამრიგებელმა რომ გითხრა. ჩვენ რომ შატალოზე დავდიოდით, ლახტს ვთამაშობდით, შენ მაშინ საჯარო ბიბლიოთეკას აკლავდი თავს. ჩვენგან რომ სხვა სკოლაში იქაური სუსტი ბავშვების გამოსასწორებლად გადაგიყვანეს (კინაღამ წამომცდა გაგაგდეს-მეთქი) მახსოვს, ის ღამე დარდისგან თეთრად გავათენე.

კაცის ბუნება ხომ გაგიგიათ, შეირგო სადღეგრძელოსავით ბათლომიჩმა ხოტბა-დიდება, მფარველად გამიღიმა, დიდკაცურად მხარზე ხელი მომიცაცუნა და დასძინა: სწორედ შენისთანა · პირში მთქმელი კაცი მჭირდება აპარატშიო. უარი ვერ შევბედე, წლის ბოლოს კი სამოთახიანი ბინა მივიღე...

ამბობენ, ჩემი მესამე სკოლის ამხანაგი ისიკო, ბოდიში, ისიდორე ხოსროვიჩი, ჩემისთანა პირდაპირი ხალხისთვის ოთხოთახიან ბინებს აშენებსო. რა მინდა ამ დეგენერატთან, ხვალ მას მივაკითხავ და გავახსენებ, რა გენიოსიც იყო ბავშვობაში.

თენგიზ I

# წინასაახალწლო სპექტაკლი ოჯახში

**არ** ვიცი, ვინ როგორ, მაგრამ მე, ამ უკანასკნელ წლებში, ახალ წელს მეტად ორიგინალურად ვეგებები. ეს ორიგინალობა იმაში მდგომარეობს, რომ წინასაახალწლო დღეებში ჩემს შეხმატკბილებულ ოჯახში რამდენიმემოქმედებიანი წარმოდგენა იმართება, რომელშიც ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს.

შევეცდები, დაახლოებით მაინც დაგიხატოთ ეს სცენები.

**სცენა პირველი** (მოქმედება აქაც და სხვა სცენებშიც ერთსა და იმავე ოთახში მიმდინარეობს). მე ეს-ეს არის დავბრუნდი სამსახურიდან და ველოდები მოწყალებას — სადილს. შემოდის ჩემი ექვსი წლის ბიჭი. მხარზე გადებული აქვს წინადღით ნაყიდი ხელოვნური ნაძვის ხე. იგი მარშით ჩაივლის ჩემს წინ, აღებს ფანჯარას და დემონსტრატიულად ისვრის ფანჯარაში ბარაქისა და ბედნიერების სიმბოლოს.

**მე:** შვილო, რას სჩადი?! ვინმეს რომ თავში მოხვდეს, ხომ დავილუპეთ?!

**ჩემი შვილი:** მოხვდეს არა, გიტარა! ხვალ მოიტან ნამდვილ ნაძვის ხეს, სათამაშოებით სავსეს! (ჩემი იმედი და სიხარული დიმილ-დიმილით გადის ოთახიდან).

**სცენა მეორე:** ოთახში შემოდის უფროსი ქალიშვილი. ცხვირწინ მეტუზება და თბილად მომმართავს: მამა! (თან თავის ნაზ თითებს — საჩვენებელსა და ცერს ერთმანეთს უსვამს).

მე ვხვდები: შვილიკოს „მაყუთი“ ჰირდება.

— წელს პირველკურსელებთან ვქეიფობთ! — მახარებს ჯენეტიკო, — გოგოები შვიდ-შვიდ მანეთს ვდებთ, ბიჭები — ხუთ-ხუთს.

— მატრიარქატი ხომ არ დაგბრუნებიათ? — ვცდილობ ისტორიაში წავავარჯიშო ჩემი სამოსანი გოგონა.

— რას თიმარობ? — ვერ გაერკვა შვილი.

— გოგოებს რატომ დაგდეს ასეთი პატივი?

— ჩვენ კონოსა და შამპოს ვსვამთ! იასნო?!

ყველაფერი ნათელია და მოქმედებაც წყდება.

**სცენა მესამე, ყველაზე დრამატული და კულმინაციური.** მე თამარ მეფესავით ამაყად ვზივარ სავარძელში. ჩემი ცოლი შოთა რუსთაველივით მომართმევს არზას. ზუსტად ისე, როგორც ზიჩის ნახატშია.

ცახცახით ვიღებ გრაგნილს და ვკითხულობ: **„დღესვე იყიდე და სამსახურში წასვლამდე მოარბენინებ სამ გოჭს, ოთხ ინდაურს, ექვს ქათამს, ერთ ხბოს, თევზეულს, ხილეულს, მწვანილეულს, სპეცლიმონათს, მანავის მწვანეს, ენისელს...“** დანარჩენს ველარ ვკითხულობ, თვალთ მიბნელდება.

. . .

თუ ეს სპექტაკლები ხშირად განმეორდა, იმედი მაქვს, მას მეტად ლოგიკური და ბუნებრივი ფინალი ექნება: მე იძულებით მიმაქროლებენ ან კამოს ქუჩაზე, ყვითელი სახლისკენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ორთაჭალისკენ...

ეშვება ფარდა, რომელსაც გაკრული ხელით აწერია: **გილოცავთ ახალ წელს!**

**კოლია ქორქიაძე**




— ოოო, მექვლეს გაუმარჯოს!..
— მექვლე კი არა, ბატონო, თქვენი სოფლელი ვარ, გაისად შვილი მყავს უმაღლესში მოსაწყობი და პატარა ძღვენი მოგართვით!




— ვისი წელით მოგყავს, შე მამაძაღლო, ამ ახალ წელს ამდენი ხალხი?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფიროსმანი-ი-ი... შენ მოჭკალ ი-ი-ი!..
– ნახე, კაცო, მაგის მოკვლასაც მე მაბრალებენ!

---

(იუმორესკა)

უდიდესი ალმავლობით ჩატარდა ვაჭრობის მუშაკთა საახალწლო კონკურსი „თან გადავუყვეთ საბჭოთა მომხმარებელს ალერსით!“ — ასეთი იყო კონკურსის დევიზი, რომლის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყველაზე შარიანი მრმხმარებლებისაგან შემდგარი. საშინლად ახირებული ჟიური საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდნენ, როგორ გაენაწილებინათ ერთი პირველი, ოთხი მეორე, რვა მესამე და თექვსმეტი წამახალისებელი პრემია ორი ათას ოთხას ცხრა თანაბრად ალერსიან დახლის მუშაკს შორის. ბოლოს, ზედმიწევნითი მიუკერძოებლობის დასაცავად გამოიყენეს კიბერნეტიკული მანქანა... და, ჰოი, საკვირველებავ! მანქანამ პრემიების ღირსად სცნო ოთხი ათას ორი მთელი და ექვსი მეათედი გამყიდველი! მეტი გზა აღარ ჰქონდათ ჟიურის წევრებს, ადგნენ და ლატარიის პრინციპით გაანაწილეს მეორე, მესამე და წამახალისებელი პრემიები ღირსეულთა შორის.

დიდებული სანახავი იყო სცენა, სადაც პრემიები თამაშდებოდა. წამახალისებელ პრემიაწილხვედრილი თექვსმეტი ლაურეატის სახელით სიტყვა სხაპასხუპით წარმოთქვა თვრამეტი წლის ეთერ ჭიკჭიკაშვილმა: „ვაჭრობაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი! კარგად მახსოვს, პატარაობისას რაიუნივერმაღობანას დიდი გატაცებით ვთამაშობდით! საქონელს არასოდეს ვმალავდით დახლის ქვეშ! და აი, სკოლის დამთავრების შემდეგ, ასრულდა ჩემი ოცნება! პატივცემულ მომხმარებელს სულ პირმცინარი ვეგებებით მე და ჩემი მეგობრები — ნაზიკო, ამალია, სარა, ტანია და სხვები! პირობას ვდებთ, რომ ახალი სავაჭრო წლიდან...“

ცრემლებმოწოლილი ეთერის ბოლო სიტყვები ტაშის გრიალმა დაფარა.

შემდეგ ტრიბუნაზე აიჭრა მესამე პრემიის ლაურეატი, ქალის საცვლების გამყიდველი, ოცდათოთხმეტი წლის არონ ბულიაშვილი: „მოგეხსენებათ, ქალის საცვლების მომხმარებელი განსაკუთრებული ალერსის ღირსია. სწორედ ამიტომ ჩემი და ჩემი კოლეგების სახელით პირობას ვდებ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ და კიდევ უფრო ალერსიანად მოვეპყრობით ჩვენს საყვარელ მომხმარებელს!..“

არონის მქუხარე ბარიტონი უფრო მქუხარე ტაშმა შთანთქა.

მეორე პრემიის ლაურეატთა სახელით ილაპარაკა დახლის უძველესმა მუშაკმა რუბენ ქართველიშვილიძემ: „ბედნიერ დროს მოვესწარი, შვილებო-ჯან! ხალხიც კულტურნი გახდა. შამოვლენ წყნარად მომხმარებლები და იკითხამენ, იმპორტნი რამერუმე თუ არიო“...

რუბენ ქართველიშვილიძის გონებამახვილურმა გამოსვლამ დარბაზში დიდი გამოცოცხლება და ოვაციები გამოიწვია.

ამით დამთავრდა საახალწლო კონკურსის საზეიმო საღამოს ოფიციალური ნაწილი. მხატვრულ განყოფილებაში კი ვაჭრობის მუშაკთა თვითმოქმედებამ დიდი ოსტატობით შეასრულა სიმღერები — „გამყიდველი ალერსიანად იღიმება“, „ყველაფერი დახლზე! არაფერი დახლის ქვეშ!“, „ვენაცვალე ჩვენს მომხმარებელს“, აგრეთვე ცეკვები — „ზუსტად ვიცავთ ზომა-წონას“, „ცეკვა ქათქათა ხალათებით“ და ა. შ.

ზურაბ რატიანი

## «გაუფრთხილდით ავტოს»!

(ვარიაციები პლაკატების თემებზე)

პატივცემული შალვა „ვოლგის“ გასაღებების ჩხაკუნით ჩაბრძანდა ეზოში.

— დღეს დამაგვიანდება, ამხანაგთან შამპანურის სმა გვაქვს დანიშნული! — ასძახა ცოლს.

— იცოდე, საჭესთან არ დაჯდე მთვრალ მდგომარეობაში! ჩამოსძახა ცოლმა.

— მაინც რატომ? —შალვას უყვარდა ცოლის აპილპილება.

— ვითომ არ იცი: ლოთობას მოსდევს ტრავმატიზმი ყოფაცხოვრებაში, ტრანსპორტზე, მრეწველობაში და სხვ.

— გასაგებია! — შალვამ მანქანაში შეჰყო თავი, მაგრამ რაღაც გაახსენდა და ისევ გარეთ გამოჰყო:

— საკვები პროდუქტების შენახვა არ დაგავიწყდეს ბუზებისაგან დაცულ ადგილას! — შეეხმიანა ცოლს.

— მაინც რატომ? — თავის მხრივ ჩამოსძახა ცოლმა. მასაც უყვარდა მეუღლესთან წათამაშება.

— კარგი, თუ ხათრი გაქვს! — ვერ მიუხვდა შალვა. — ჩვენს პოლიკლინიკაში არ წერია: დიზენტერიის მიკრობთა გადატანაში მთავარ როლს ასრულებს ბუზი და დიზენტერიის მიკრობით დაბინძურებული ხელებიო?

— დაბინძურებულ ხელებს საპონი ჭირდება! — უკბინა ცოლმა.

— შენც ადექი და იყიდე. ყველგან გაყიდვაშია!

— კარგი, კარგი! — დაუყვავა ცოლმა. — იცოდე, ბევრი ჭამე. არ გახსოვს, რა გვითხრა ექიმმა? „წესიერი კვება ხელს უწყობს გულისა და კუჭის ჯანმრთელი მდგომარეობის შენარჩუნებას“.

ეგ ხუთი თითივით ვიციო, — ხუთი თითით ანიშნა შალვამ და მანქანა ადგილიდან დაძრა.

გაუფრთხილდი ავტოს! — დახვდა წარწერა მოსახვევში.

შალვამ საჭე მაგრად ჩაბღუჯა ხელში. ასე ესმოდა მას ეს გაფრთხილება.

ჩარლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდა რობოტის ვნებანი

### პატრიოტული სენტენცია

მამულს ათ რობოტს მაინც გავუზრდი,
უთხრან: „ხალიბურ ფოლადის
ხართო...“
კაცმა ვერ თარგმნა ჩვენში „ფაუსტი“,
ჩემი სათარგმნი იქნება, ვატყობ.

### ფერადი სიზმრები

მიღებენ ფილმში — „რობოტის
მამა“,
არ ვიცი, წვერი მოვუშვა როგორ...
დისერტაციას ვამზადებ თანაც
თემაზე — „კაცი რითა სჯობს
რობოტს?“

### ფანტომასი

დღეს ერთი კაცი მორბოდა,
„ტაქსი!“ — ყვიროდა, ბორგავდა...
ღმერთო, რად შემქმენ რობოტად,
რატომ არ გავჩნდი „ვოლგადა?“

### გაბოროტება ანუ რობოტი ქუჩაში

ქუჩაში ვიდექი და ველოდი
მეგობრებს,
ვტკბებოდი გამვლელთა ყურებით...
ჩულიგნებს ტელეფონის ჯიხური
ვეგონე,
მეცნენ და დამაგლიჯეს ყურები.
მეც გავბოროტდი და ხულიგნებს
დავერიე,
წამომეშველნენ რობოტი ძმა-ბიჭები...
როცა დაინახეს, ხულიგნებს
მოვერიეთ,
წესრიგის დამცველნი დაგვდევდნენ
მაგნიტებით.

### სატრფო და მარტენი

მოდი, დეტალი დეტალს შემიწყვე,
არ მინდა ვიყო ისევ ეული...
თუ გიღალატო, დენი შემიწყდეს,
მარტენის ღუმელს მივსცე
სხეული!..

### იდილია

გადავიხადე ქირა სინათლის,
თან სამსახურში მოვეწყვე თბილად,
რობოტ დირექტორს ქრთამად
მივართვი
რკინა-ბეტონის ათასი ფილა.

### რა დაგიშავე?!

არ გამომადგა ცოლი არც ერთი,
ვდნები რობოტი... ალი მედება...
ქანჩიკებს ვიხდი ალიმენტებად
რა დაგიშავე, ღმერთო, ასეთი?!

### უკმარობის განცდა

მაკლია ათასი დეტალი,
ჯერ ჩემი სრულყოფა არ მორჩა...
ო, დროზე მეღირსოს, ნეტავი,
ნაგლინი გლანდების ამოჭრა.

### მარტოობა

ვის შევადუღდე, ვას მივეწებო?
აღარ მეღირსა მიღება ბინის.
ველარ ვაზროვნებ. მჭირდება, ძმებო,
კაპიტალური რემონტი ტვინის...

თუმც სად მაქვს ტვინი, თქვენი
კვნესამე?
მთელმა ქვეყანამ, დაე, გაიგოს,
რომ გაგდებულმა ცოლმა მესამემ
ჯერ ამომიღო, მერე წაიღო...

### მელანქოლია

ჟანგი მომადო მკაცრმა დრო-ჟამმა
გადამექლიბა გული გოდებით...
ამ ტელეფონმა სულმთლად მომშალა,
ალბათ, ჯართადაც არ გამოვდგები!..

სტროფები რობოტის ლექსებიდან
ამოკრიბა **ბათუ მელია**მ

## განცხადება

**ქართველი მწერლების საყურადღებოდ!**

1968 წლიდან ნიანგი აწყობს ექსკურსიას მთაწმინდაზე... დარჩენით. მსურველებს ვთხოვთ, წამოიმღვანიონ დაფნის გვირგვინები და რამდენიმე უკვდავი ნაწარმოები!



ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— ამ ახალ წელს სად მოკალი ამხელა დათვი?
— ჩუმად! არ გაალვიძო, თორემ დაგვჭამს ორივეს!

მთავარი
რედაქტორი
**ნოდარ დუმბაძე**

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე,
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი“.

ნიანგი

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელ. 9-76-69, 3-10-78.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 14/XII 1967 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8
1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1. პირობით ფორმათა რაოდ. 2. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4653. უე 02366.
ტირაჟი 71.000.

1
1967
ეროვნული ბიბლიოთეკა




837
67
27/XII